საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N180 2024 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს თანდართული საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს;

ბ) საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის შესრულების

კონტროლი განახორციელოს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა

N	კანონპროექტის დასახელება	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება და კანონპროექტის მოკლე აღწერა (პრობლემის არსი, ანალიზი და მისი გადაჭრის გზა). წარმოდგენის სავარაუდო თარიღი.	ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ	თუ კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ

1	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების (N2/7/1528) აღსრულების მიზნით, დარეგულირდება უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საკითხი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
2	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებით: - განისაზღვრება დისტანციური ფორმით პროფესიული პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა; - დაკორექტირდება ელექტრონული სწავლების ცნება და ჩამოყალიბდება ახლებურად; - ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ნაწილობრივ იქნება დაშვებული ელექტრონული სწავლება; - შესაძლებელი იქნება, მაგისტრატურაზე სწავლა განხორციელდეს სრულად ელექტრონულად, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ხელახლა გაივლის აკრედიტაციას; - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი დაადგენს სწავლის სფეროების ჩამონათვალს, სადაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული სწავლების კომპონენტის ნაწილობრივ ან სრულად გამოყენება; - შესაძლებელი იქნება არანაკლებ 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა) შემუშავება, რომლის დასრულებაც სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საფუძველი არ იქნება; - არანაკლებ 60 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ იქნება საერთო სამაგისტრო გამოცდა; - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებიდან ამოღებულ იქნება სასწავლო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის ტერმინი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით;	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		- იურიდიული პირები საავტორიზაციო განაცხადს მთავრობის მიერ კონცეფციის მოწონების გარეშე ვერ წარადგენენ; - სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ავტორიზაციის საბჭო, სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელზეც აკრედიტაციის ფარგლებში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ არის განსაზღვრული) განხორციელების შემთხვევაში, განსაზღვრავს აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას; - სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ საშუალება თავად განსაზღვრონ სადისერტაციო საბჭოების ფორმირების წესი; - ავტორიზაციის საბჭოს ექნება უფლებამოსილება, სტუდენტთა მიღების უფლება შეზღუდოს არა მხოლოდ დაწესებულების, არამედ უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვითაც; - დარეგულირდება დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არაუმეტეს 6 თვის ვადით დანიშვნის საკითხი.		
3	„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებით: - დაზუსტდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო ან სრული ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევა; - განისაზღვრება, რომ საქართველოს მთავრობა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სტუდენტის მიერ სტუდენტური ფასდაკლების მიღების წესს; - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც ავტორიზაციის გავლა უწევთ 2026 წლის პირველ იანვრამდე, მიეცემათ უფლება, საავტორიზაციო განაცხადით მიმართონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2026 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრაფიკით. ამ პერიოდში ისინი ჩაითვლებიან ავტორიზებულებად; - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებისთვის სავალდებულო იქნება, ამ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; - განისაზღვრება, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგანმანათლებლო	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		დაწესებულების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება, არ დაეფუძნოს პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს; - შეიქმნება საკანონმდებლო საფუძველი ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში კურსდამთავრებულებზე ერთობლივი დიპლომის ან/და დიპლომების გაცემისა.		
4	„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებით: - დირექტორის მოადგილის შვებულების, მივლინების, დროებითი შრომისუუნარობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორს ექნება უფლებამოსილება, სკოლის სხვა თანამშრომელს დააკისროს მის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შესრულება; - დარეგულირდება საჯარო სკოლის მასწავლებლის 2024 წლის საშვებულებო ანაზღაურების საკითხი, 2024 წლის 1 ივლისიდან ასამოქმედებელი ახალი სახელფასო ფორმულის შესაბამისად; - მაღალმთიან დასახლებაში არსებული საჯარო სკოლის მასწავლებლისთვის სახელმწიფო უზრუნველყოფს დანამატის მიცემას მაღალმთიან დასახლებაში არსებული საჯარო სკოლის პრაქტიკოსი, მაძიებელი და უსტატუსო მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს (405 ლარის) არანაკლებ 35 %-ის ოდენობით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
5	„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციისათვის განსაზღვრული საფასური თანაბრად გაიყოფა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

6	„რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის შინაარსით შექმნილი საკანონმდებლო ხარვეზით. 71-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 20 მარტის კანონი, ძალადაკარგულია 2023 წლის 10 ოქტომბრიდან, გარდა კანონის IV თავისა. ხოლო ახალი „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის 10 ოქტომბრიდან, გარდა კანონის III თავისა (ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირება), რომელიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან. III თავი განსაზღვრავს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ისეთ ფუნქციებს როგორებიცაა: ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაცია (მათ შორის, ავტორიზებულ პირთა ვალდებულებები), ინსპექტირება და იძულებითი ღონისძიებების განხორციელება. ამ ფუნქციებს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის V, VI, VII და XI თავები არეგულირებდა, რომლებიც ძალადაკარგულად გამოცხადდა და რამაც გარკვეული პრობლემები შექმნა სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ფუნქციონირებაში. იმის გათვალისწინებით, რომ „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავის ძალაში შესვლა მთელ რიგ ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებთან არის დაკავშირებული, რის გამოც მისი ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 1 იანვარი, მარეგულირებელი ორგანოსთვის (სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო) კონტროლის მექანიზმების შესანარჩუნებლად, საჭიროა „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების თავს (XIV თავი) დაემატოს მუხლი, რომელშიც შევა „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული თავებით განსაზღვრული დებულებები და რომელიც ძალაში იქნება 2026 წლის 1 იანვრამდე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
7	„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში	კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად, სათბურის გაზების ემისიების შემცირებისათვის საჭირო ზომების გასატარებლად და ასევე, ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო	გამომდინარეობს

	ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან. დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის შესახებ საბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის 96/61/EC დირექტივა. მისი მინისტერიალის საბჭოს მიერ ადაპტირებული ვერსიის კონსოლიდირებული ვერსია. ამ ეტაპზე საქართველოში არ არის დანერგილი სათბურის გაზების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დამოწმების (MRV) სისტემა, შესაბამისად ასევე არ არსებობს მისი სამართლებრივი მოწესრიგება. იმისათვის, რომ მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დამოწმების (MRV) სისტემის შექმნისათვის გაჩნდეს საკანონმდებლო საფუძველი და შესრულდეს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, აუცილებელია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.	ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას (ადმინისტრაციული ხარჯები)	
8	„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული ჯიშები შეტანილი უნდა იქნეს ეროვნულ კატალოგში, სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის/შემოწმების დადებითი შედეგის საფუძველზე. დაუშვებელია სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული ისეთი ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის რეალიზაცია, რომლებიც ეროვნულ კატალოგში შეტანილი არ არის. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კატალოგში შესატანად ყველა კულტურის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდა/შემოწმება საჭირო არ არის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობის მიერ იქნეს განსაზღვრული ის კულტურები, რომელთა ეროვნულ კატალოგში შესატანად საჭირო იქნება სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდა/შემოწმება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
9	„პროდუქტის უსაფრთხოებისა და	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან	არ გამომდინარეობს

	თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ადმინისტრაციული დაჯარიმებისთვის იყენებს სხვადასხვა გაზომვის საშუალებებს, რომელთა დაკანონებული გაზომვის საშუალებების სავალდებულო დამოწმებისათვის საჭიროა, განისაზღვროს პერიოდულობა და აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია კოდექსს დაემატოს შესაბამისი დებულებები: გამონაბოლქვი აირების ანალიზატორებისთვის - 12 თვე; მტვრის ნაწილაკების კონცენტრაციის მზომებისთვის - 12 თვე; წყლის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების მზომებისთვის - 12 თვე; ელექტრომაგნიტური ველის ენერგიის ნაკადის სიმკვრივის მზომებისთვის - 12 თვე.	დამატებითი ხარჯების გამოყოფას	
10	„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტით გათვალიწინებულია თუშეთის დაცული ლანდშაფტის გაფართოება სოფელი ტბათანისა და მიმდებარე ტერიტორიებისთვის დაცული ლანდშაფტის სტატუსის მინიჭების შედეგად, რაც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სათუშო არეალის შენარჩუნებას, ორი საუკუნის განმავლობაში აქ არსებული დასახლების აღდგენას, წოვათუშების მამაპაპისეულ მიწებზე დაბრუნების ხელშეწყობას, ტრადიციული თუშური მომთაბარე მეცხვარეობა-მესაქონლეობის განვითარებას, ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის ხელშეწყობას, ეკოტურიზმის პოტენციალის გაუმჯობესებასა და უკანონო საქმიანობის აღმოფხვრას არეალში.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას (ადმინისტრაციული ხარჯები - 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს 315,354 ლარი (მოიცავს შრომის ანაზღაურებას, საქონელსა და მომსახურებას და სხვა ხარჯებს). აღნიშნული თანხა მიმართული უნდა იქნას დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ახმეტის მუნიციპალიტეტში)	არ გამომდინარეობს
11	„გარემოსდაცვითი შეფასების	ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში მოწვეულ იქნა ექსპერტთა მისია, რომელთა მიერ შემუშავდა	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან	არ გამომდინარეობს

	კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის ხარისხის გაუმჯობესებისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების ეფექტიანად განხორციელების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციები და პრაქტიკული წინადადებები. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებისა და კოდექსის პრაქტიკული გამოყენების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ცალკეული ნორმების დახვეწის მიზნით, მომზადდება აღნიშნული პროექტი. შესაბამისი ცვლილებები აისახება „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში, ვინაიდან, აღნიშნული კანონი განსაზღვრავს აკვაკულტურის საქმიანობის რეგულირებისა და განხორციელების პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი მიღებული იქნა 2020 წელს, ხოლო მისი ამოქმედების შემდეგ პრაქტიკაში გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს მოწესრიგებას. კერძოდ, „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის თანახმად, აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე, ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, აკვაკულტურის საქმიანობა შესაძლებელია სკრინინგის პროცედურის საფუძველზე დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით, როგორც აკვაკულტურის ნებართვას, ასევე გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას გასცემს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო. შესაბამისად, საჭიროა პროცედურების ოპტიმიზაცია და გამარტივება იმგვარად, რომ ერთი ადმინისტრაციული ორგანოდან ორი ავტორიზაციის დოკუმენტი არ იყოს საჭირო ერთი და იგივე საქმიანობისათვის. ასევე, ცვლილებები აისახება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მომაზადების მიზეზია „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში აკვაკულტურაში გამოყენებული წყლით სარგებლობისთვის მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირების წესის დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, კანონის არსებული ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის გამორიცხვის მიზნით, საჭიროა, დაზუსტდეს რესურსებისთვის მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირების წესი და მოსაკრებელი გადახდილი იქნეს წელიწადში ერთხელ.	დამატებითი ხარჯების გამოყოფას	-
12	„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის კომპეტენციას დაარეგულიროს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებისა და ბუნებრივი პროდუქტიულობის გათვალისწინებით ლიმიტირებული ძოვება, თიბვა, თევზჭერა, საშეშე მერქნის დამზადება და ტურისტების მომსახურებისთვის თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით გადაადგილება პალიასტომის ტბაზე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
13	**„ნადირობის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ნადირობის შესახებ“ ახალი კანონი მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, მოაწესრიგებს ნადირობასთან დაკავშირებულ ძირითად ურთიერთობებს. კანონპროექტის მიზნებია: ნადირობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფასეულობების თანაბარი გათვალისწინება და სანადირო სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატი) მდგრადი მართვა; სანადირო სექტორის ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა; ნადირობის ტრადიციის შენარჩუნება და სოციალური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სანადირო სისტემის შექმნა; საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, კერძოდ, ფაუნის ცალკეულ სახეობათა რიცხოვნობის ზრდა მათი აღრიცხვის, მონიტორინგისა და აღწარმოების ღონისძიებების გამოყენებით.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

14	„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი მიღებულ იქნა 2012 წელს. კოდექსი არეგულირებს ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურას, განსაზღვრავს მის ინსტიტუციურ ჩარჩოს და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს ხარისხის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილებს და მათი ფუნქციონირება ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, წარმოადგენს როგორც ექსპორტის განვითარების, ისე ადგილობრივი ბაზარზე უსაფრთხოებისა და უვნებლობის უზრუნველყოფის ძირითად საფუძველს. 2017 წლიდან საქართველოს აკრედიტაციის სისტემა აღიარებულია ევროკავშირის შესაბამისი ორგანიზაციის (European Accreditation) მიერ და სისტემა შეესაბამება 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) N765/2008 რეგულაციის მოთხოვნებს ((რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით), როგორც ეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების III - „B" დანართით არის განსაზღვრული. სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის აღიარებისათვის EA-მ განახორციელა შეფასებები (მათ შორის, ბოლო შეფასება განხორციელდა 2022 წლის ოქტომბერში), რომლის დროსაც გამოვლენილი შეუსაბამობები გამოსწორდა და გარკვეული დაზუსტებები გაკეთდა სხვადასხვა ნორმატიულ აქტში. ბოლო წლებში, 2017 წლის შემდეგ, განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. ცვლილებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ტერმინების დაზუსტებას და შინაარსის სწორად ჩამოყალიბებას, როგორც ევროკავშირის რეგულაციის, ისე აკრედიტაციის სფეროში ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ხარვეზების კორექტირებას, ახალი ტერმინების დამატებას, სტანდარტიზაციის პროცესში ბიზნესსექტორის ჩართულობის ზრდასა და საქართველოს სტანდარტების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას, სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონების და დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეგისტრაციის ვადის განსაზღვრას. შესაბამისად, ცვლილებების მიზანია	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	გამომდინარეობს

		საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს ევროპულ კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების უზრუნველყოფა. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების საჭიროება ასევე განპირობებულია არასასურსათო პროდუქტებზე ეფექტიანი ბაზარზე ზედამხედველობის დანერგვის მიზნიდან გამომდინარე, მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან/და აღკვეთის გზით ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს პროდუქტით გამოწვეული ზიანისგან დაცვის მიზნით. ამდენად, ბაზარზე ზედამხედველობის მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, ბაზარზე ზედამხედველობის გაძლიერება, ეკონომიკური ოპერატორებისთვის მკაფიო, გამჭვირვალე და ყოვლისმომცველი წესების მიწოდებით, შესაბამისობის კონტროლის გაძლიერებით და აღმასრულებელი ორგანოების შესაძლებლობების განვითარებით. კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროპულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების თვალსაზრისით. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ჯარიმების არსებული პოლიტიკის გადახედვას, რათა ადმინისტრაციული სახდელი იყოს უფრო ქმედითი, სამართალდარღვევის სიმძიმის პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ასევე გაფართოვდება სააგენტოს უფლებამოსილება, განახორციელოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ტექნიკური შემოწმება არა მხოლოდ საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებსა და პროდუქტის რეალიზაციის ადგილებში, არამედ, პროდუქტის წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში. ცვლილების შედეგად, ასევე შეიცვლება პროდუქტის ნიმუშის აღების ღირებულების გადახდის წესი და ზუსტდება მნიშვნელოვანი ტერმინთა განმარტებები. კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა დღეის მდგომარეობით არის მცირე ამ დარღვევების შედეგად მოსალოდნელი საფრთხეებიდან გამომდინარე. ამასთან, მითითებული ჯარიმების ოდენობის კორექტირება (გაზრდა) დღემდე არ განხორციელებულა და მათი ოდენობა არის იგივე, რაც იყო 2012 წელს, როდესაც ამოქმედდა აღნიშნული კოდექსი. შესაბამისად, საჭიროა გაიზარდოს აღნიშნული ობიექტების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმების ოდენობა.		

		ასევე, მოხდება კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება. კერძოდ, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სანქცირების შესაბამისი მუხლებიდან აირსავსები და აირგასამართი სადგურების ამოღება. კოდექსის მოქმედი რედაქციით და არსებული რეგულაციით, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს განეკუთვნება ავტოგასამართი სადგური და ავტოგასამართი კომპლექსი (ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურის) და მათი ინსპექტირება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ავტომატური ვიდეოტექნიკის დამონტაჟების, ტექნიკური მახასიათებლებისა და ექსპლუატაციის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. კანონის პროექტი გამომდინარეობს 2008 წლის 9 ივლისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 768/2008/EC გადაწყვეტილებიდან პროდუქციის რეალიზაციისათვის საერთო ჩარჩო პირობების შესახებ. კანონპროექტი გამომდინარეობს ასოცირების შეთანხების, DCFTA ნაწილის მე-3 თავის, III-A და III-B დანართებიდან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის შემდეგ რეგულაციასთან/დირექტივებთან: - 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) No. 1025/2012 რეგულაცია ევროპული სტანდარტიზაციის შესახებ; - 2009 წლის 23 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2009/23/EC დირექტივა არაავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ; - 2004 წლის 31 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2004/22/EC დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ. კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. კერძოდ, 2023/988 რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რომელმაც გააუქმა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2001 წლის 3 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ.		

15	„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	არსებული კანონმდებლობის პირობებში ელექტროენერგიის შენახვის შესახებ საკანონმდებლო ბაზის არარსებობა ხელს უშლის ქვეყანაში შემნახველი მოწყობილობების დანერგვას, რაც დაკავშირებულია ქსელის სტაბილურობასა და განახლებადი ენერგიის ინტეგრაციასთან. შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობების შექმნისა და მისი ოპერირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. კერძოდ, ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობის ოპერირება მიჩნეულ იქნება ელექტროენერგეტიკული საქმიანობის ერთ-ერთ სახედ, ხოლო ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობის ოპერირება, როგორც ელექტროენერგეტიკული საქმიანობის ერთ-ერთი სახე დაექვემდებარება სემეკის მიერ ლიცენზირებას. კანონპროექტი გაითვალისწინებს საგამონაკლისო ნორმებსაც, რა შემთხვევებშიც, ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობის ოპერირებას არ დასჭირდება ლიცენზირება (მაგალითად, როდესაც ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობის სიმძლავრე არ აღემატება 15 მეგავატს). ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონპროექტი დაადგენს ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იქნება გადამცემი სისტემის ოპერატორის/გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის შემნახველი მოწყობილობის განვითარება, ფლობა, მართვა ან ოპერირება, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
16	„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ცვლილება შეეხება ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორს, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდის უშუალოდ ბაქანზე შემოწმებას და როგორც საჰაერო ხომალდის, ისე მისი ეკიპაჟის ინსპექტირებას. მას ექნება უფლებამოსილება, ეკიპაჟის წევრი შეამოწმოს ალკოჰოლურ სიმთვრალეზე, რაც ერთ-ერთი აუცილებელი და უპირობოდ სავალდებულო შემოწმებაა ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და არის ახლადდანერგილი პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, თუმცა ვერ ხორციელდება საქართველოში ამ ეტაპზე, შესაბამისი საფუძვლის არარსებობის გამო. კანონპროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-16 დანართის IV ტომით გათვალისწინებული სტანდარტის, კერძოდ „საერთაშორისო ავიაციისთვის ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის“ (CORSIA) დანერგვას. სქემაში მონაწილეობის ვალდებულება საქართველომ აიღო 2016 წლის ბრატისლავას დეკლარაციაზე ხელმოწერით. აღნიშნული სტანდარტის მოქმედების ქვეშ ექცევიან საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტები, რომლებიც ახორციელებენ	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		საერთაშორისო ფრენებს მინიმუმ 5700 კგ მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდების მეშვეობით. სქემა არ ფარავს სახელმწიფოს შიდა ფრენებსა და ისეთ საერთაშორისო ფრენებს, რომლებიც ემსახურება სამედიცინო, ჰუმანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებს. სტანდარტი ითვალისწინებს საერთაშორისო ფრენებზე გაფრქვეული ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის კომპენსირებას საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების მიერ, რაც გამოიხატება მათ ვალდებულებაში შეისყიდონ და გააუქმონ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (იკაო) მიერ აკრედიტებული გარემოსდაცვითი პროგრამების მიერ გამოშვებული გამონაბოლქვის ერთეულები (emissions unit), რის შედეგადაც აღნიშნულ ერთეულებში გადახდილი თანხა მოხმარდება ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის გარემოზე მავნე გავლენის შესამცირებლად გატარებულ გარემოსდაცვით პროექტებს. სქემა აგრეთვე ითვალისწინებს ბიოლოგიურად სუფთა საავიაციო საწვავის გამოყენების გზით ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებას, რის შედეგადაც მცირდება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ კომპენსირებას დაქვემდებარებული გამონაბოლქვის ოდენობა. სტანდარტის მიხედვით, ყოველწლიურ გამონაბოლქვსა და განხორციელებულ კომპენსირებაზე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებმა რეგისტრაციის სახელმწიფოს უნდა წარუდგინონ შესაბამისი ანგარიშები, რომლებიც საბოლოო გადამოწმების შემდეგ, სახელმწიფოს მიერ მიეწოდება იკაოს, ვინაიდან სწორედ იკაო განახორციელებს სქემის ადმინისტრირებას საერთაშორისო დონეზე. ცვლილება შეეხება უპილოტო საჰაერო ხომალდებს, რომელთა სისტემების მიმართ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაცია დაიყოფა ექსპლუატაციის „ღია“, „სპეციფიკურ“ და „სერტიფიცირებულ“ კატეგორიებად. დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს უფლება ექნება, აღკვეთოს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაცია, რომელიც ხორციელდება ექსპლუატაციის „ღია“ და „სპეციფიკურ“ კატეგორიაში უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის რეგისტრაციის გარეშე. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.		
17	„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და	კანონპროექტის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა განპირობებულია საერთაშორისო ვალდებულებებით, ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმების“ გაფორმებისა და შესაბამისად, საქართველოს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან	გამომდინარეობს

	გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	გაწევრიანებით, ისევე როგორც დირექტივაში შესული ცვლილებებით, კერძოდ, „განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/2001 დირექტივის შესაბამისად, რომელიც მიღებული იქნა ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს მიერ D/2021/14/MC-EnC გადაწყვეტილებით. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ენერგეტიკული გაერთიანებისა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან საქართველოში განახლებადი ენერგიის ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა“ და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით გათვალისწინებულია დაახლოების ვალდებულება დირექტივასთან N2009/28/EC განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ, რომლითაც ცვლილებები შევიდა და მოგვიანებით გაუქმდა დირექტივა N2001/77/ EC და დირექტივა N2003/30/ EC, რომელიც გააუქმა „განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/2001 დირექტივა.	დამატებითი ხარჯების გამოყოფას	
18	„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს აუქციონის გამართვისათვის საჭირო დროის დიფერენცირებას სასარგებლო წიაღისეულის სახეობებისა და მოცულობის მიხედვით. საწვავ რესურსებსა და ენერგორესურსებზე (გარდა ნავთობისა და გაზისა), სამთო-ქიმიური ნედლეულზე, არამადნეულ ნედლეულზე, საშენ მასალებზე, თუ მოსაპოვებელი ჯამური მოცულობა/წონა 500 000 (ხუთასი ათას) კუბურ მეტრს/ტონას არ აღემატება, აგრეთვე მიწისქვეშა მტკნარ წყალზე დადგენილია 15 დღიანი ვადა. დანარჩენ სახეობებზე კი, დადგენილია 1 თვიანი ვადა ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის. დაგეგმილი ცვლილების თანახმად, არსებული დიფერენცირება აღარ იარსებებს და ყველა სახისა და მოცულობის სასარგებლო წიაღისეულთან მიმართებაში განისაზღვრება 10 დღიანი ვადა აუქციონის გამოცხადების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის. შესაბამისად, კანონპროექტის მიღებით მოხდება ვადების ოპტიმიზაცია, იმისათვის რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ ლიცენზია უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს მოქმედი რეგულაციებით არის შესაძლებელი. ამასთან, ცვლილების თანახმად, აღარ იარსებებს სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ საკუთარ ვებგვერდზე 3 დღით ადრე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ინფორმაციის განთავსების ვალდებულება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

19	„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სააგენტოს მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა ელექტრონული ფორმით. შესაბამისად, აღარ არსებობს სალიცენზიო მოწმობის მატერიალური ფორმით არსებობის საჭიროება. ცვლილების თანახმად, მოხდება ლიცენზიის ფორმის დამტკიცების თაობაზე ჩანაწერის ამოღება. ამასთან, დაგეგმილი ცვლილებით შეიქმნება საკანონმდებლო საფუძველი სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების გამოცემისათვის. დღესდღეობით, სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N502 დადგენილებით. იმისთვის, რომ დამოუკიდებელი ნორმატიული აქტით მოწესრიგდეს სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეები და ტარიფები, კანონში გაჩნდება საქართველოს მთავრობის დადგენილების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
20	„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილება შეეხება ნახშირწყალბადებთან ასოცირებული გეოთერმული ენერგიის მოპოვებას. ნახშირწყალბადებთან ასოცირებული გეოთერმული ენერგიის მოპოვება და გამოყენება აქტუალურია, ვინაიდან, იგი წარმოადგენს განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიას. ასევე, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, კანონში მოხდება გაზის ტრანსპორტირების, გაზის დამუშავების და ნავთობის ტრასპორტირების რეგულირების საფასურის გათვალისწინება.	კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
21	„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	კანონპროექტი განსაზღვრავს უნივერსალური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ვალდებულებას სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, უნივერსალური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებს, მომსახურეობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობისა და ფიზიკური წვდომის პირობებს, განსაზღვრავს უნივერსალური ელექტრონული საკომუნიკაციო	კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	მომსახურების ხარისხობრივ პარამეტრებს, უნივერსალური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების თვითღირებულების გამოთვლისა და არასამართლიანი ფინანსური ტვირთის ანაზღაურების წესებს, ასევე, კანონპროექტი ადგენს უნივერსალური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის დანიშვნის წესებსა და პროცედურებს. კანონპროექტის მიღება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XV-B დანართით გათვალისწინებული 2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/22/EC დირექტივით უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით, დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით. ზემოაღნიშნული 2002/22/EC დირექტივა გაუქმდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/1972 (ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის დამყარების შესახებ) დირექტივით და უნივერსალური მომსახურების მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებული დებულებები განისაზღვრა ახლებურად, შესაბამისად, კანონპროექტი, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, მომზადებულია (EU) 2018/1972 დირექტივის შესაბამისად.	დამატებითი ხარჯების გამოყოფას	
22	„ფოსტის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების საფუძველია გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის - მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრობით და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) საქართველოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ფოსტის სფეროში ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და დირექტივებთან (1997 წლის 15 დეკემბრის N97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ“; „2002 წლის 10 ივნისის N2002/39/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის“, „2008 წლის 20 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს N2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას“, 2018 წლის 18	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	გამომდინარეობს

		აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2018/644 რეგულაცია, რომელიც ეხება ტრანსასაზღვრო საამანათო მომსახურებას და 2018 წლის 20 სექტემბრის კომისიის განმახორციელებელი 2018/1263 რეგულაცია, რომელიც ეხება საამანათო მომსახურების ოპერატორების მიერ ინფორმაციის წარდგენის ფორმების დადგენას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018/644 რეგულაციის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ ადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს; მომხმარებელთა უფლებების დაცვას; უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტური და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფას, მისი საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და სხვა.		
23	„საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №1-1/586 „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრავს რკინიგზის მგზავრთა უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მგზავრს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს ამ წესების დარღვევაზე საჩივრების განხილვისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს. ვინაიდან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 29 ივნისის №1-1/250 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიზანს წარმოადგენს სარკინიგზო უსაფრთხოების, სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება და ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროს რეგულირება და ზედამხედველობა, მიზანშეწონილია, რომ სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო იყოს მგზავრთა უფლებებისა და მოვალეობების წესების დარღვევისას შესაბამისი საჩივრებისა თუ განცხადებების განმხილველი ორგანო და აღნიშნული საკითხი მოწესრიგდეს საქართველოს სარკინიგზო კოდექსით. საქართველოს სარკინიგზო კოდექსში დარეგულირდება და დაზუსტდება ცალკეული საკითხები. კერძოდ, კოდექსში მოხდება სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესების იმპლემენტაციისათვის საჭირო შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების სრულყოფა. ამასთან, განისაზღვრება ისეთი ტერმინი, როგორიცაა „მოვლა-	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	გამომდინარეობს

		პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი“ („Entity in charge of maintenance“ (ECM)) და მოწესრიგდება მასთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები. ასევე, ცვლილება განხორციელდება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება რკინიგზის მგზავრთა უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული წესების დარღვევა. ამასთან, საჭიროა, აღნიშნული სამართალდარღვევების სათანადო ადმინისტრირებისთვის დადგინდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმხილველი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი ორგანო. ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან ერთად, „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის, სარკინიგზო სფეროს მიმართულებით. ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს თავისი კანონმდებლობის დაახლოება 2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს N 1371/2007 რეგულაციასთან (EC) რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.		
24	„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია საპენსიო სააგენტოს 2019 წლიდან ფუნქციონირების შედეგად პრაქტიკაში გამოვლენილი მმართველობით სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების აღმოსაფხვრელად საჭირო ცვლილებების განხორციელება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
25	„ფაქტორინგის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)	საფინანსო სექტორის განვითარებისა და ბაზარზე მრავალფეროვანი შესაძლებლობების გაჩენის უზრუნველსაყოფად შემუშავდა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. პროექტი თავისი არსით ფაქტორინგული კომპანიების საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის სამუშაო კაპიტალის შეუფერხებლად მიწოდებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, ფაქტორინგული კომპანიები	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	მიაწვდიან დაფინანსების მსურველ მეწარმეებს მესამე მხარეთაგან მოსალოდნელ მომსახურების საფასურს იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ეს პირველადი მომსახურების ხელშეკრულებით იქნებოდა გათვალისწინებული. ამ ფაქტორინგული კომპანიების არსებობისათვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.		
26	„საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოში დინამიურად მზარდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ფონზე, შესამჩნევად იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. ყოველწლიურად, საქართველოს გზებზე ფიქსირდება ასობით ადამიანის გარდაცვალებისა და ათასობით ადამიანის სერიოზული დაშავების ფაქტი. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მონაწილეები სოციალურად და ეკონომიკურად ყველაზე აქტიური მოქალაქეები არიან, მათგან ბევრი ახალგაზრდაა, ბევრი დაუცველი - ბავშვები, მოხუცები. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები ხშირად სამუდამო ტრამვებით/დაზიანებებით, აქტიური მუშაობის შეწყვეტითა და მაღალი ხარჯებით სრულდება არამარტო მსხვერპლისთვის, არამედ მათი ოჯახებისთვის, ზიანის მიმყენებელი პირისთვის, რომლისთვისაც მძიმე ტვირთია ასეთი ხარჯების გაწევა; ასევე, ფართო საზოგადოებისთვის, დამსაქმებლის და ჯანდაცვის სისტემისთვის. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეულ მაღალ ხარჯებთან გამკლავების პრობლემა მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტას, რაც ათწლეულების კვლევისა და მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სისტემის დანერგვის გზით. ამ სისტემის ფარგლებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირი სათანადო კომპენსაციას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში იღებს მაშინაც კი, როდესაც ავარია გამოწვეულია დაუზღვეველი ან/და დაუდგენელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით. სოციალური დაცვის ამ ქმედითი მექანიზმის შესაქმნელად თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, შეიძინოს სავალდებულო დაზღვევის პოლისი და გადაიხადოს სადაზღვევო პრემია. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკისა და სადაზღვევო სფეროს განვითარების ერთ-ერთ კომპონენტს და ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურების გარანტიების შექმნას, ცივილიზებულად აგვარებს საგზაო–სატრანსპორტო შემთხვევით წარმოქმნილ დავებს და პრობლემებს. სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობის დანერგვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოში სადაზღვევო კულტურის, ამ	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	გამომდინარეობს

		მიმართულებით მოქალაქეთა ცნობიერების და სექტორისადმი ნდობის ამაღლებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია დაზღვევის, როგორც მოულოდნელ ფინანსურ დანახარჯებთან გამკლავების ალტერნატიული საშუალების ეფექტიანი ფუნქციონირება. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის, 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/103/EC დირექტივა, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და მოცემულ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ამ ვალდებულების შესრულებას.		
27	„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2018 წლის 20 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი. მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნულ კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კოდექსის რევიზია/გადამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტურ იმპლემენტაციას. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, დღეს არსებული მდგომარეობით, რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები ფიქსირდება მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში, შესაბამისად, გამოიკვეთა მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაანალიზებისა და გადამუშავების საჭიროება. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იწყება საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავება, რაც თავის მხრივ ამ ეტაპზევე საჭიროებს ზემოაღნიშნული მიმართულებით მოსამზადებელი და ძირითადი სამუშაოების ჩატარებას. ცვლილებით, ასევე დარეგულირდება გენერალური გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
28	„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან	კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის ფორმების ოპტიმიზაციას. ამასთან, განისაზღვრება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებით პრივატიზების შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების თანხობრივი გამოხატულების არარსებობისას, მყიდველი ვალდებული იქნება, შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად წარადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო ქონების იპოთეკარის მოთხოვნის საფუძველზე რეალიზაციის შემთხვევის ანალოგიურად, კანონპროექტით გათვალისწინებულია	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

	ერთად)	სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, სახელმწიფოს მიერ საპრივატიზებო ვალდებულებებით განკარგული ქონების იძულებითი აღსრულების წესით რეალიზაციისას, ახალ და ყოველ შემდეგ მესაკუთრეზე ქონების შემძენის მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გადასვლისათვის.		
29	**„ნავთობისა და /ან ნავთობპროდუქტების სავალდებულო საგანგებო მარაგების შენახვის შესახებ“** (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი ითვალისწინებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სავალდებულო საგანგებო მარაგების შენახვის ვალდებულებას. აღნიშნული მიზნით, კანონპროექტის შესაბამისად დაწესდება შესაბამისი სუბიექტების უფლება/მოვალეობები და დადგინდება შესაბამისი პროცედურები. კანონპროექტი მომზადებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის, 2009 წლის 14 სექტემბრის საბჭოს 2009/119/EC დირექტივა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეინახონ გადაუმუშავებელი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგები.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.	გამომდინარეობს
30	**„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპრექტის მიზანია საგზაო უსაფრთხოების ამაღლება, საფრთხის პრევენცია და დაცვა გზებზე კონტროლის სისტემის შექმნის საშუალებით. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის №353 დადგენილებით დამტკიცებული - საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და მისი 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით, რომლის მე-4 თავში (ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება), 1.4.4 საკითხი ითვალისწინებს გზებზე კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) თანახმად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. საავტომობილო სფეროსთან მიმართებით საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რათა მოხდეს ქართული და ევროკავშირის სამართლის ერთმანეთთან დაახლოება. კერძოდ, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს თავისი კანონმდებლობის დაახლოება 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივასთან საგზაო ტრანსპორტის	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.	გამომდინარეობს

		ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ საბჭოს (EEC) N 3820/85 და (EEC) N 3821/85 რეგულაციების იმპლემენტაციის მინიმალური პირობების შესახებ. ამასთან, ხსენებული დირექტივა ნაწილობრივ იმპლემენტირებულია საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127[1] მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები. აქედან მე-7 ნაწილის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო მე-8 ნაწილის - სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, ხოლო კანონპროექტის მიზანია მისი სრული იმპლემენტაცია ეფექტური აღმასრულებელი მექანიზმის დანერგვის გზით.		

31	„ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება უზრუნველყოფს ხანდაზმულ პირთა უფლებების უფრო ეფექტიან რეალიზებას. ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა ხელს შეუწყობს ერთიანი მიდგომების საფუძველზე ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების შემუშავებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
32	„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2023 წლის 14 ივნისს მიღებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლის ძირითადი ნაწილი 2024 წლის მარტიდან ამოქმედდება. კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა. აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, იმ მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შესატანად მუშავდება, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა საქართველოში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური საშუალებები მხოლოდ მონაცემთა ტრანზაქციისთვის გამოიყენება. კანონი ასევე ადგენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებსა და საფუძვლებს. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საკუთარი ფუნქციების შესრულებისას ყოველდღიურად ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. ამდენად, მნიშვნელოვანია „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოება, რაც უნდა განხორციელდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

33	„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში საჭიროა განხორციელდეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სასყიდლიანი ხელშეკრულების, მათ შორის, იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში როგორც ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე საკუთრების უფლების აღდგენის შესაძლებლობას ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებით. ცვლილების შედეგად, სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროში შესაძლებელი გახდება სასყიდლიანი ხელშეკრულების, მათ შორის, იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია, რომლის ერთ-ერთი სავალდებულო პირობა იქნება მხარეთა შეთანხმება, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, სასამართლოს მონაწილეობის გარეშე, აღსრულების ქვემდებარე აქტების - შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების გადახდევინების ან/და სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ ბრძანების გამოცემა, რაც უზრუნველყოფს კრედიტორის როგორც ფულადი მოთხოვნის, ისე საკუთრების უფლების აღდგენის მოქნილ, სწრაფ და ხელმისაწვდომ დაკმაყოფილებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
34	მიწის კოდექსი (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	მიწის კოდექსის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ მიწის კანონმდებლობა არ არის სისტემატიზებული, მიწასთან დაკავშირებული საკითხები დაქსაქსულია და მოწესრიგებულია სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რაც ართულებს მიწასთან დაკავშირებული რეგულაციების აღქმადობას. გარდა აღნიშნულისა: • სხვადასხვა კანონში ტერმინები სხვადასხვაგვარად არის განმარტებული და ურთიერთშეუსაბამოა. საკანონმდებლო აქტები მიღებულია სხვადასხვა წლებში და არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა შინაარსობრივად ერთგვაროვან საკითხებზე; • არსებული საკანონმდებლო აქტების აღსრულება წარმოადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციას, ცალკეულ შემთხვევებში მკვეთრად არ არის გამიჯნული კომპეტენციები ან ბუნდოვანია რომელ უწყებას ექვემდებარება საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური უწყება, რომელიც ნიადაგის მიხედვით დაადგენს მიწის მიზნობრივ დანიშნულებას და კატეგორიას; • არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლის შემთხვევაში, მიწის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები, რომელიც დაეფუძნება ნიადაგის შეფასებას, მოსავლიანობას, მიწის ნაკვეთის ღირებულებას და ა.შ; • მიწის დანიშნულების და კატეგორიის დადგენის მიზნით, გამოიყენება საბჭოთა პერიოდის მიწათსარგებლობის გეგმები, რომლებიც მოძველებულია და არ ასახავს ადგილზე დღეს არსებულ მდგომარეობას. ეს გეგმები არ ახლდება და	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		საკანონმდებლო აქტით არ არის დადგენილი უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საკითხზე; • წყლის ფონდის, წიაღის და მიწაზე კერძო საკუთრების საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგება რიგ შემთხვევაში, ბუნდოვანია; • არ არსებობს მიწის საბაზრო ღირებულების შეფასების ერთიანი სისტემა; • არ არის დადგენილი მესაკუთრის ვალდებულება, დაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა; • არ არის დადგენილი ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმი მიწათსარგებლობაზე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ზედამხედველობის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მიწასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა იმ საკითხებისა, რომელიც, თავისი არსით მიზანშეწონილია, ან კონსტიტუციიდან გამომდინარე, სავალდებულოა, რომ ცალკე საკანონმდებლო აქტებით რეგულირდებოდეს) მოწესრიგდეს ერთიანი, სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტით, რომელშიც თავს მოიყრის ყველა ის მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც მიწის შენარჩუნებასა და გამოყენებას, სამართალურთიერთობებში ყველა პირის უფლება-მოვალეობებსა და ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას განსაზღვრავს.		

35	„თეატრების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი თეატრების საქმიანობის წესის, ასევე მათ დაფუძნებასთან, ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი, სოციალური და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების, თეატრალურ სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობების, თეატრების სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების დაზუსტების, სრულყოფისა და დარგში არსებულ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებით. წლების განმავლობაში დაგროვებულმა გამოცდილებამ გამოავლინა ცალკეული საკითხების საკანონმდებლო დონეზე დაზუსტების აუცილებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი საკითხების ახლებურად რეგულირებას: - თეატრების კატეგორიებისა და ტიპების განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებული თანმდევი საკითხების რეგულირება; - თეატრების მართვის საკითხების დაზუსტება; - თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და დაზუსტება; - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესის დაზუსტება, მათი უფლებამოსილების ვადის ახლებურად განსაზღვრა; - თეატრების სახელმწიფო დაფინანსების წესის განსაზღვრა; - თეატრების ანგარიშგებისა და მონიტორინგის საფუძვლების განსაზღვრა; - თეატრისა და თეატრის შემოქმედებითი პერსონალის შრომითი ურთიერთობების დარეგულირება; - კერძო თეატრების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება და საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა;	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		- განსაკუთრებული საჭიროების მქონე თეატრებისა და საბავშვო თეატრების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა; - კერძო თეატრების ხელშეწყობის მექანიზმების განსაზღვრა, როგორიცაა მათი დაფინანსებისა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრა, მათთვის სახელმწიფო თეატრების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების გამარტივებული წესით გადაცემა და სხვ. მოქმედი კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პროფესიულ თეატრებზე. შესაბამისად, სათანადო რეგულაციის მიღმა რჩება თეატრების გარკვეული ნაწილი, რაც არათანაბარ სამართლებრივ და ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს მათ. შესაბამისად, კანონპროექტით ფართოვდება მისი რეგულირების სფერო და იგი გავრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა თეატრზე.		
36	„სახელოვნებო განათლების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონის პროექტის მიზანია სახელოვნებო განათლების, როგორც ფორმალური განათლების ერთ-ერთი ნაწილის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების შექმნა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში სახელოვნებო განათლება, გარდა უმაღლესი პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საფეხურებისა, არაფორმალური განათლების ფორმით ხორციელდება და არ არსებობს სახელოვნებო განათლების ქვედა დონეების ფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრირების სამართლებრივი საფუძვლები. სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლება წარმოადგენს განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ხასიათდება სპეციფიკით და გამოირჩევა განსხვავებული რეგულირებების საჭიროებით. ამასთან, არ არსებობს ისეთი საკანონმდებლო აქტი, სადაც წარმოდგენილი კანონპროექტის შინაარსი ცვლილების შეტანის გზით სრულად აისახებოდა. შესაბამისად, მომზადდა ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომელიც კომპლექსურად მოაწესრიგებს სახელოვნებო განათლების სფეროს. კანონპროექტის მიღების შედეგად, ჩამოყალიბდება სახელოვნებო განათლების საწყისი საფეხურების ფორმალიზების სამართლებრივი საფუძვლები და განისაზღვრება: - ფორმალური სახელოვნებო განათლების არსი და მისი მარეგულირებელი	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას (ფინანსური სახსრები სავარაუდოდ შეადგენს 5 660 000 ლარს)	არ გამომდინარეობს

		ჩარჩო; - ფორმალური სახელოვნებო განათლების მიღების წესი; - ფორმალური სახელოვნებო განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი და ავტორიზაციის საკითხი; - ფორმალური სახელოვნებო განათლების მიღების შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციები; - ფორმალური განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების სტატუსი; - ფორმალური სახელოვნებო განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების საკითხები; - სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უძრავი ქონების გადაცემის საკითხები და სხვ.		

37	„ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (მუხლი 42[10]), რომლის მიხედვითაც დაწესდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისთვის (ფიზიკური პირის მიმართ 2 000 ლარი, ხოლო იურიდიული პირისა – 10 000 ლარით). ასევე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (მუხლი 42[11]) დაწესდა პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს ღია ან დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის, მეტროპოლიტენით, ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებისას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის (წესის დამრღვევი პირის მიმართ - 20 ლარი, განმეორებით დარღვევისთვის - 40 ლარი). ასევე, პასუხისმგებლობა დაწესდა (მუხლი 42[11]) პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის არმქონე პირის დაშვებისათვის (დახურული საჯარო სივრცის მფლობელი იურიდიული პირისთვის/ინდივიდუალური მეწარმისთვის 500 ლარი, განმეორებით - 1000 ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულმა შეზღუდვებმა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო დაავადების გავრცელების პრევენციას და 2021 წლის გაზაფხულიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, შეზღუდვები ეტაპობრივად შემსუბუქდა. 2023 წლის 4 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) „კოვიდ 19“-თან დაკავშირებული გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 ივლისის №244 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა №322 დადგენილება. კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონით დადგენილი ჯარიმებისგან პირთა გათავისუფლება უნდა განხორციელდეს ასევე კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტით. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		აქვე გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის მიღების შედეგად, შესაბამისი პირი გათავისუფლდება იმ ჯარიმის გადახდისაგან, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის არ არის აღსრულებული.		
38	„ხანგრძლივი ზრუნვის და სააღმზრდელო მომსახურებების სერტიფიცირების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ქვეყანაში ფუნქციონირებს ხანდაზმულთა და შშმ პირთა 24 საათიანი ზრუნვის მომსახურებები, რომელთა საქმიანობაც არის არის რეგულირებული სამართლებრივი დოკუმენტით. შესაბამისად, არ არის ინფორმაცია ასეთი მომსახურების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ. ახალი კანონი დაარეგულირებს ისეთ საქმიანობას, რომელიც ეხება ხანგრძლივი ზრუნვის და სააღმზრდელო მომსახურებას და მოხდება ასეთი საქმიანობის მიმწოდებელთა სერტიფიცირება. ასევე დარეგულირდება საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, განისაზღვრება სერტიფიცირების უფლებამოსილი ორგანოები, დადგინდება სერტიფიკატის გაცემის წესი და სხვა ურთიერთობები. სერტიფიცირებულად ჩაითვლებიან ის დაწესებულებები, რომლებიც რეგისტრირებული იქნებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. კანონის მოქმედება გავრცელდება ხანგრძლივი ზრუნვის და სააღმზრდელო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების საქმიანობაზე, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, გარდა სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებისა.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
39	„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ქვეყანას არ გააჩნია კოსმეტიკურ პროდუქციასთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, რაც ასევე ასახულია ევროკომისიის სამუშაო ჯგუფის საქართველოს 2023 წლის ანგარიშშიც. კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის რეგულაციასთან (Regulation (EC) N 1223/2009), რომელიც კანონის პროექტისა და ტექნიკური რეგლამენტის შემუშავების პროცესში სახელმძღვანელოდ იქნა გამოყენებული. „ტექნიკური რეგლამენტი - კოსმეტიკური პროდუქციის შესახებ" ადგენს ბაზარზე კოსმეტიკური პროდუქციის განთავსების წესებსა და ნორმებს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. რეგლამენტი არ ვრცელდება იმ ნივთიერებებზე ან ნარევებზე, რომლებიც განკუთვნილია ენდოგენურად მისაღებად, ინჰალაციის, ინექციის ან ადამიანის სხეულში იმპლანტაციისათვის. ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება ეკონომიკური ოპერატორების როლი და ვალდებულებები, მათ შორის მწარმოებლის,	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		იმპორტიორის, დისტრიბუტორის და ხელშეკრულებით განსაზღვრული "პასუხისმგებელი პირის". ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება ბაზარზე განთავსებამდე და განთავსების შემდეგ ადმინისტრირების საკითხები და მასზე პასუხისმგებელი უწყებები. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება საჭიროებს საქართველოს კანონებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების შეტანას.		
40	„სამედიცინო მოწყობილობების შესახებ" (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დღეის მდგომარეობით ქვეყანაში არ არსებობს სამედიცინო მოწყობილობების მარეგულირებელი ჩარჩო: წარმოების, იმპორტის, დისტრიბუციის, აღრიცხვისა და მიკვლევადობის, ხარისხზე ზედამხედველობის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის კუთხით. აღნიშნული კანონი დაარეგულირებს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სამედიცინო მოწყობილობების, მათ შორის, ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების და აქსესუარების ბაზარზე განთავსებასთან, ბაზარზე ხელმისაწვდომობასა და მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონით განსაზღვრული იქნება ეკონომიკური ოპერატორების როლები და ვალდებულებები, მათ შორის, მწარმოებლის, იმპორტიორის, დისტრიბუტორის ვალდებულებები; ამავე კანონით დაწესდება მოწყობილობების შესაბამისობის CE მარკირება; შესაძლებელი გახდება სამედიცინო მოწყობილობების იდენტიფიკაცია მიწოდების ჯაჭვში, რეგისტრაცია, უსაფრთხოებისა და კლინიკური ეფექტურობის უზრუნველყოფის რეგულირება; კანონი ასევე დაადგენს სამედიცინო მოწყობილობების კლასიფიკაციას, დარეგულირებს მოწყობილობების ბაზარზე განთავსების შემდგომი მეთვალყურეობის პროცესს, ასევე სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და ინციდენტების ანგარიშების აღრიცხვასა და მაკორექტირებელი ზომების გატარების წესებს. „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“ კანონის შემუშავება „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ დღის წესრიგიდან გამომდინარეობს. ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება სამედიცინო მოწყობილობების სფეროში ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოვდეს (თავი 15, მუხლი 357, დანართი III-A). ასოცირების შეთანხმების თანახმად, აუცილებელია შემდეგი რეგულაციების ნორმების სახელმწიფოს მიერ შესრულება საქართველოს კანონმდებლობაში მათი ასახვის მიზნით:	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	გამომდინარეობს

		1. 2017 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU რეგულაცია სამედიცინო მოწყობილობების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს 2001/83/EC დირექტივაში, 178/2002/EC რეგულაციასა და 1223/2009/EC რეგულაციაში და აუქმებს საბჭოს 90/385/EEC და 93/42/EEC დირექტივებს. 2. 2017 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017/746/EU რეგულაცია ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ, რომელიც აუქმებს 98/79/EC დირექტივას და 2010/227/EU კომისიის გადაწყვეტილებას.		
41	„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით, გაეროს სიებში განხორციელებული ცვლილება სავალდებულო წესით უნდა აისახოს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართულ სიებში. 2023 წელს გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის 1961 წლის „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ ერთიანი და 1971 წლის „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ კონვენციების თანდართულ სიებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: - გაეროს 1961 წლის „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ ერთიანი კონვენციის I სიას დაემატა 4 ნივთიერება; - გაეროს 1971 წლის „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ კონვენციის II სიას დაემატა 3 ნივთიერება. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს აღნიშნული ნივთიერებების მოქმედ კანონში დამატებას.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

42	„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია დეცენტრალიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ქონების მართვის საკითხების შესაბამისი ფორმით მოწესრიგების საჭიროებასთან.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

43	„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მიზანია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული ავტოსადგომების მუშაობისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გავრცელება ნებისმიერი ასეთი ავტოსადგომის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევაზე.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

44	„დნმ-ის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ინიციატივის შესაბამისად, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიკაციის, დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის გახსნისა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში შეიქმნება დნმ-ის მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელშიც შეინახება გენეტიკური მონაცემები. ასევე განისაზღვრება დნმ მონაცემების სავალდებულო პროფილირებას დაქვემდებარებული სუბიექტების ჩამონათვალი, ამასთან, ნებისმიერ პირს ნებაყოფლობით შეეძლება კუთვნილი დნმ მონაცემების წარდგენა, ბაზაში რეგისტრაციის მიზნით.	კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას (დაახლოებით 13 მილიონ ლარამდე)	არ გამომდინარეობს
45	„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებით დარეგულირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნისა და მასზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომის საკითხები. იარაღისა და მასთან დაკავშირებული უფლებების რეგისტრაციისას/ნებართვის გაცემისას, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის გაცემისას, ასევე აღნიშნული ნებართვის/მოწმობის მოქმედების პერიოდში, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასახელებულ ბაზაში გადამოწმება სავალდებულო გახდება.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს
46	„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილების მიღების მიზანია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად აღმოფხვრის მოქმედი კანონმდებლობის აღსრულებისას გამოვლენილ ხარვეზებს, ასევე, უზრუნველყოფს რეგულაციების გამკაცრებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემით. გარდა ამისა, კანონით განსაზღვრული ცალკეული ტერმინები და ცნებები დაზუსტდება, შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის დირექტივებთან. ცვლილებათა პაკეტით ქართული კანონმდებლობა დაუახლოვდება თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობას, კერძოდ, 2011/95/EU და 2013/32/EU დირექტივებს.	კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

47	„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილების მიზანია: - ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების მომწესრიგებელი ნორმების ახლებურად განსაზღვრა, საქართველოს შრომის კოდექსით გაწერილ რიგ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დამატებით ანაზღაურების გარეშე შვებულების განსაზღვრა, ბავშვის დაბადებიდან 5 წლამდე პერიოდის განმავლობაში 12 კვირის ოდენობით, მამის სავალდებულო ორკვირიანი ანაზღაურებადი შვებულების შემოღება, არსებული 6 თვიანი ანაზღაურებადი შვებულების შენარჩუნებასთან ერთად, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს დედის შვებულებაში ყოფნის პარალელურად მამის მიერ და მისი გადაცემა მეორე მშობლისთვის არ იქნება შესაძლებელი. - ყველა საჯარო მოსამსახურის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის უზრუნველსაყოფად ეფექტური ბერკეტების განსაზღვრა. სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის არსებულ მუხლთან ერთად, კანონს დაემატება ახალი დებულება - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ“. - საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციების ახლებურად მოწესრიგება, რომელიც მიზნად ისახავს ბიუროს, როგორც საჯარო სამსახურის რეფორმის მაკოორდინირებელი უწყების როლის გაძლიერებას და ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურთან დაკავშირებული პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების კოორდინირების პროცესს. - ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის როლისა და ფუნქციების გაძლიერების, საჯარო დაწესებულების ქმედითი/ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის პასუხიმგებლობაში სტრატეგიული დაგეგმვისა და მონაცემთა მართვის ფუნქციების გამოკვეთის მიზნით, კანონში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ფუნქციების ახლებურად ჩამოყალიბება. - დისკრიმინაციული მოთხოვნის აღმოფხვრა და მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნების ნაწილში განსაზღვრული მოთხოვნის - „იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“ ამოღება, სერტიფიცირების მარეგულირებელი ბლანკეტური ნორმების ამოღება. - მოხელედ პირის მიღების შეზღუდვის საფუძვლებში, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულების განსაზღვრა „თავდაცვის კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში, სხვა პირის მიერ დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის წარმოიშვება შესაბამისი ანაზღაურების საჭიროება)	არ გამომდინარეობს

		- მოქნილი სამუშაო პირობების, ნახევარ განაკვეთზე/დისტანციურ რეჟიმში მუშაობის საკითხების სათანადო რეგულირების/მოწესრიგების მიზნით შესაბამისი ნორმების განსაზღვრა. - საქართველოს საჯარო სამსახურში არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შეფასების ანალიზის საფუძველზე, კანონის გარკვეული მუხლების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, მათ შორის მოხელის შეფასებისა და მის შედეგებზე მიბმული ფულადი ჯილდოს გაცემის მარეგულირებელი ნორმების გადახედვა და მათი პრაქტიკაში ეფექტიანობის შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ასევე, კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს საჯარო სამსახურში არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შეფასების, საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასების შედეგების გათვალისწინებით. (ავტორი: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო)		
48	„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია 2020 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მე-60 პლენარულ სხდომაზე დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის საჭიროებით. MONEYVAL-ის ექსპერტების შეფასების საფუძველზე, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განიმარტება საფუძვლიანი ეჭვი; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალება საეჭვო ანგარიშგებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გაგზავნა და სრული პრევენციული ღონისძიებების გატარება; ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის მქონე პირის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას მოთხოვნილი იქნება ტრასტის შექმნის დოკუმენტი; განგრძობითი მონიტორინგი დაეყრდნობა განახლებულ ინფორმაციას; ლატარიის ორგანიზატორს, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს დაევალება პრევენციული	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		ღონისძიებების შედეგად მიღებული ინფორმაციის დაკავშირება განხორციელებულ ტრანზაქციებთან; მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობის შემთხვევაში ანგარიშვალდებული პირი დარწმუნდება რომ მესამე პირის/შუამავლის სისტემები საკმარისად ადექვატურია და აქვს შესაძლებლობა პრევენციული ღონისძიებების გატარების/ინფორმაციის შენახვის; შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი მენეჯმენტის დონის იერარქიაში იქნება განსაზღვრული ანგარიშვალდებულ პირად; ანგარიშვალდებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა აუდიტის თაობაზე ინფორმაცია გაცვალოს ჯგუფს შიგნით; გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების საფუძვლებთან, როდესაც საქმე ეხება მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. (ავტორი: სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური)		
49	„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ისეთი მექანიზმების შექმნა და უკვე არსებულის დახვეწა, რომელიც გააუმჯობესებს დეკლარაციის შევსებისა და მონიტორინგის პროცესებს. - თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილება. - ანტიკორუფციული ბიუროს მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დადგენილი ხარვეზის აღმოუფხვრელობისათვის შესაბამისი რეაგირება. - კორესპონდენციის ჩაბარება თანამდებობის პირისათვის. - ადმინისტრაციული გამოძიება. - თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებულ პირთა წრის გადახედვა გაფართოების მიზნით. - ინტერესთა შეუთავსებლობის დეკლარაციის ფორმის შემუშავება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას	არ გამომდინარეობს

		- ანტიკორუფციული ბიუროსთვის კორუფციული რისკების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებისას. - ანტიკორუფციული ბიუროსათვის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე (მ.შ პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი) რეკომენდაციის გაცემის უფლებამოსილების მინიჭება. - ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებზე „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების არ გავრცელება. კერძოდ, ბიურო დაემატება იმ დაწესებულებებისა და თანამშრომლების ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონი და ბიუროს მიეცემა შესაძლებლობა გონივრულობის ფარგლებში, თავად განსაზღვროს ბიუროს საჭიროებების გათვალისწინებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ოდენობა. - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „დ1“ და „დ2“ ქვეპუნქტების არ გავრცელება ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობაზე. - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირთა ჩამონათვალშის სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს დამატება. - ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე (მ.შ პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი) გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობისთვის შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შექმნა და გაუმჯობესება (მ.შ. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლებამოსილების მინიჭება, სახდელის სახეების და ოდენობის გადახედვა). - პოლიტიკური პარტიის ლიკვიდაციის ერთ-ერთ საფუძვლად პოლიტიკური პარტიის მიერ ზედიზედ 2 წლის განმავლობაში საფინანსო დეკლარაციას ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარუდგენლობის განსაზღვრა.		

		ინიციატივა უკავშირდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 ნოემბრის N465 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან არიდების სამოქმედო გეგმას. (ავტორი: სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო)		